## გადახნულ მინდვრის შესაბამისად

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი მტს-ის ტრაქტორისტები უხარისხოდ ხნავენ.

— აქა-იქ რომ ქოჩორს მიტოვებ, რას ფიქრობ, სადაური ხელობაა?!

— თქვენებური... აბა, თქვენს გადახნულ მინდორს გადახედეთ!..



ნახ. ი. ქოქიაშვილ

# ნ ი ა ნ გ ი

№ 18. თბილისი. სექტემბერი 1954 წ. გამომცემლობა „კომუნისტი" XXXI წელი. ფასი 2 მან.

ჰიტლერელი რევანშისტები განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებენ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნასა და მასში მონაწილეობაზე.




ამერიკელი ევროპის ბედზე ძველ ჰიტლერელებს ესაუბრება:

— იმათ, ვინც ერთხელ შეჰკრეს ევროპა, კვლავ შეჰკრან, ხწორედ მათ აქვთ უფლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძმა ძმისთვისაო

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის სალივენის ცნობით, ბონის „რესპუბლიკაში“ გამომავალმა საილუსტრაციო ჟურნალებმა, ამ უკანასკნელ ხანს, თავის სატიტულო ფურცლებზე, უფრო მეტჯერ მოათავსეს ჰიტლერის, ჰერინგისა და გებელსის სურათები, ვიდრე ასეთები მოთავსდა ჰიტლერის სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე.

სალივენი ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმის შესახებ, ამ სურათების თავზე, მარჯვნივ, შავი პეტიტით წერია თუ არა: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“.

### შექსპირი და საწერი მანქანა

ამერიკულ რეაქციულ ჟურნალ „ლაიფში“ გამოქვეყნდა საწერ მანქანების მკეთებელ ფირმის „როიალის“ სარეკლამო განცხადება. განცხადებაში ერთიმეორის მიყოლებით დაბეჭდილია დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის, ამერიკის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის აბრამ ლინკოლნის პორტრეტები და ბოლოს იმ საწერი მანქანის ფოტოგამოსახულება, რომელიც უკანასკნელ ხანს ხსენებულმა ფირმამ გამოუშვა.

რა კავშირი აქვს შექსპირისა და ლინკოლნის პორტრეტებს ახალგამოშვებულ საწერ მანქანასთან?

თუ ფირმა „როიალს“ დავუჯერებთ, ამას წინათ ჩაუტარებიათ ახალგამოშვებული საწერი მანქანის გამოცდა და საგანგებოდ გამოგონებულ ავტომატს ამ მანქანაზე „უწერია“ ორი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ. თურმე „აბრამ ლინკოლნს მთელ თავის სიცოცხლეში დაუწერია დაახლოებით ერთი მილიონი სიტყვა, პორტატულ მანქანა „როიალს“ კი—თორმეტჯერ მეტი“.

რაც შეეხება დიდ დრამატურგს, მას, თურმე, „თოთხმეტჯერ იმაზე მეტი სიტყვის დაწერა მოუწევდა, რაც მან საერთოდ დაწერა“, თორემ ისე შეუძლებელი იქნებოდა შექსპირის ნაწერების რაოდენობის შედარება სტანდარტული მოდელის „როიალის“ ნამოქმედართან.

თოთხმეტჯერ მეტი, რა ადვილი სათქმელია! რატომ შემდეგ გარემოებაზე არ დაფიქრდებიან „როიალისა“ და „ლაიფის“ მესვეურები: შექსპირს რომ თანამედროვე ამერიკაში ეცხოვრა, თავისი პიესების მეთოთხმეტედის დაწერასაც ვერ მოასწრებდა, ისე უკრავდნენ თავს მაკარტის ბიჭები უწერელ ადგილას!

### თეორია და პრაქტიკა

„სამი... ლექცია მკვლელობის შესახებ.

1. დარიშხანის ხმარება არც ისე იოლია, როგორც ეს გვეჩვენება. დამწყებმა მკვლელმა არ იცის მისი დოზა. გარდა ამისა, რჩება ბოთლი და თითების ანაბეჭდი. 2. ტყვია უფრო სანდოა, მაგრამ დაკავშირებულია ხმასთან, თოფისწამლის სუნთან და ბოლოს იარაღის დამალვის აუცილებლობასთან. 3. დახრჩობა დამწყებისთვის საუკეთესო მეთოდია. სწრაფია, უხმაურო და კვალს არ ტოვებს“.

ეს სტრიქონები გახლავთ ამერიკული გამომცემლობის „ბენტემ ბუქსის“ მიერ გამოცემული წიგნის ანოტაცია, გამოცემულია „პრაქტიკული ცოდნის“ გასავრცელებლად და დაწერილია ცოლქმრის ლოკრიჯების მიერ.

მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა. სადაც მადლს შვრებიან, მარილიც უნდა მოაყარონ ამ დალოცვილებმა! რა დიდებული იქნებოდა, თუ ცოლ-ქმარი ლოკრიჯი და გამომცემლობა „ბენტემ ბუქსის“ მესვეურები დამწყებ მკვლელებს პრაქტიკისთვის საკუთარ ყელკისრებს დათმობდნენ!

# ტყვარჩელზე გავლით

ეროვნული ბიბლიოთეკა




ერთი შეხედვითვე თვალში გეცემათ ტყვარჩელის სიახლე. ახალი ქუჩები, ახალი სახლები, ახალი მოედანი, ახალი... ბევრი რამ არის ტყვარჩელში ახალი, რადგან თვითონ ტყვარჩელიც ახალი გახლავთ, ამ ქალაქმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო ლამაზი, ფაქიზად მოწყობილი, თვალწარმტაცი, სუფთა ქალაქის სახე. მაგრამ ის ნაკლი, რომელზეც ჩვენ აქ უნდა ვილაპარაკოთ, ყველაფერზე უფრო უახლესია და კარგი იქნება, თუ მოგონებას მიეცემა.

### გამწვანება ტყვარჩელურად

აქ თავისებური გამწვანება სცოდნიათ. აბანოს გასწვრივ, მთელ ქუჩაზე, წლების წინათ ორმოები გაუთხრიათ ნარგავების ჩასაყრელად. გაუთხრიათ და „ვაითუ არ იხაროსო“ უფიქრიათ. უფიქრიათ და ნარგავები აღარ ჩაუყრიათ. ახლა ეს „სიმბოლური“ ორმოები შამბნარითა და წყლით ავსებულა, აშმორებულა ეს წყალი და ისეა გამწვანებული, რომ კაცს ახლო გავლა გაუჭირდება. ამ მინიატურული „ჭაობების“ თავზე ზოგჯერ კოღო გადაიბზუვლებს ხოლმე და ტყვარჩელელი პირველ თავის მართლებას აქედან იწყებს:

— ციებას კი არ იწვევს, ანოფელესი არ გახლავთ, მეგობარო!

საქმე საქმეა, დაწყებულს დამთავრება უნდა, თორემ კოღო, თავისთავად, „ანო“ იქნება, თუ „ფელესი“, საინტერესო არ არის!

### სტუმრები და მასპინძლები

ტყვარჩელში წესიერ სტუმარს წესიერ პატივსა სცემენ, მაგრამ სტუმარმა თუ მასპინძლად გადაქცევა მოინდომა, ნურას უკაცრავად, მას ისე ექცევიან, როგორც ეს აქაური სასტუმროს ადმინისტრაციამ გააკეთა. ტყვარჩელში თვალის დასამშვიდებელი სასტუმრო გახლდათ, ლამაზი, სუფთა, თბილი და გრილი. მაგრამ მოვიდნენ სტუმრები და გახდნენ მასპინძლები. ჩასახლდნენ სასტუმროში და ბინად დაიკავეს. რა უნდა ექნა სასტუმროს ადმინისტრაციას? სტუმრები ღონივრები იყვნენ და ძალით ვერ გარეკა. ამის გამო ასეთი ხერხი იხმარა: სკამი გატყდა, ახალი არ იყიდა, რადიო მოიშალა, არ შეაკეთა, გაჭუჭყიანდა, არ გაასუფთავა, გახუნდა, არ შეღება,

ახლა იძულებით თუ შეხვალ კაცი ასეთ გახუნებულ სასტუმროში და უსკამობით რომ ფეხზე გაჩერდები, ჭუჭყიან კედელზე გახახუნების რომ შეგეშინდება, კარგი ბიჭი ხარ, დროზე ნუ გაასწრებ აქედან!

### ხმაურიან მოედანზე

სადგურ კვეზანთან დიდი, ხმაურიანი მოედანია. აქ ასფალტამომტვრეულ გზაზე რიტმულად მიჯაყჯაყებენ მანქანები, საათობით უცდიან ავტობუსს მგზავრები და **ГЮ** სერიის № 91-09 ავტომანქანის შოფერს ისე თავისუფლად შეუძლიან ლაზათიანად მიბერტყოს გამვლელი მოქალაქე, რომ მილიცია მესამე დღესაც ვერ გაიგებს. ვერ გაიგებს, რადგან აქ მილიციელი არა დგას. არა დგას, რადგან აქ მგზავრებიც ტყუილად დგანან და ელოდებიან აკარმარაში მიმავალ ავტობუსს. აკარმარაში მიმავალ ავტობუსისათვის მარტო ცდა არა კმარა: ერთი გზაში აგროვებს მგზავრებს და აქ ვეღარ ახვალ, მეორე ცარიელი ჩაივლის და არ გაჩერდება.

ჩაივლის-მეთქი, მოგახსენეთ, ადვილი სათქმელია ჩავლა! აქ, ასფალტჩაცვენილ გზაზე, ისეთი სისწრაფით მიტორტმანებენ ავტომანქანები, რომ გამვლელ მოქალაქეს დაზღვევის ბარათი უნდა ეჭიროს ხელში. ავტოინსპექტორი ლევან კობახიძე და მისი შტატი შოფრებთან დამოკიდებულების გაფუჭებას გაურბის, თუ გაქანებულ მანქანას ვერ ეწევა, ძნელი გამოსარკვევია. მიუხედავად ამისა, აქ ინსპექტორს ინსპექტორი ჰქვია, თავზე ხელაღებულ შოფერს — შოფერი. სამგზავრო ავტობუსის მაგიერობას მოხალტურე საბარგო ავტომანქანა 07-13 ასრულებს, ნამდვილი ინსპექტორისას — არავინ.

### ხმა-ჭამა კარგად შესარგი

ტყვარჩელში სტუმრად ჩამოსულ ადამიანს ერთი სავალდებულო მცნება არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან: საღამოს რვა საათის შემდეგ აქ სტუმრად მისვლა არავისთან არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია მასპინძელს სახლში არაფერი შეესწროს და რვა საათის შემდეგ ხომ ყველა სასურსათო მაღაზიას კლიტე ადევს. რესტორანში შესვლისას (ვთქვათ, № 17 კაფე-რესტორანში შევიდა) მენიუს თვალიერება და სადილების ამორჩევა არ უნდა დაიწყოს. რასაც მოიკითხავთ ყველა კერძი აქვთ, მაგრამ გულიაშს შეითხოვთ, თუ ბულიონს, სოუსს, თუ სხვაუსს, ყველას ერთი ქვაბიდან ამოიღებენ. ყოველნაირ კერძს წყალი ერთი რაოდენობით აქვს, ცხიმი არც ერთი რაოდენობით, სახელი სხვადასხვა ჰქვია, უგემურიც ერთნაირია.

განსხვავება მხოლოდ ბორშსა და ანტრეკოტს შორისაა: ჩაყრიან წყალ-კომბოსტოში ხორცის ნაჭრებს, ადუღებენ, ათუხთუხებენ, მოხარშავენ. ამოიღებენ ხორცის ნაჭრებს, მოწვავენ და ანტრეკოტად მოგყიდიან, ნახორცალ წყალ-კომბოსტოს კი ბორშად მოგართმევენ.

ტყვარჩელში ლიმონადი მზადდება. ისეთი ლიმონადი, რომ რესპუბლიკის ყველა ქარხანაში გაკეთებულ ლიმონადს რეკლამას უკეთებს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ სუფთა წყალს რომ გემოს უფუჭებენ, ვერაფერი საქმეა!

მე-17 კაფე-რესტორანს „კაფე-რესტორანი“ აწერია. იღება დილის 11 საათზე და, ალბათ, უკვე გვიანაა ჩაისა და ყავის დალევა, კაკაოსი და რძის მირთმევა, აქეთ მოიხედავ ღვინოა, იქით მიიხედავ — არაყი.

საერთოდ ტყვარჩელში ღვინოსა და არაყს დიდი გასავალი აქვს. მუშათა მომარაგების განყოფილების ბრუნვის დიდ პროცენტს სპირტიანი სასმელები შეადგენს. და რატომ უნდა გაგვიკვირდეს, როცა მებუფეტე კვანტალიანიც ღვინო-არყით არის გატაცებული: მთვრალი მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუება, ალბათ, უფრო ადვილია.

საერთოდ, აქ ვაჭრობის მუშაკები რომ გადაჭარბებით ვაჭრობენ, ამას ვაჭრობა არ უნდა. № 3 შახტის სასადილოში უფაქტურო საქონელს ნახავთ. № 18 სასადილოში დამპალ პამიდორს მოიტანენ და სალათად რომ ვერ გაიყიდება, შრავალკერძიან ცნობილ ქვაბში ჩაუძახებენ.

ვაჭრობენ მუშაკები, თბილ ადგილს უფრთხილდებიან, იმდენად უფრთხილდებიან თბილ ადგილს და მისი გაცივების იმდენად წინააღმდეგნი არიან, რომ მაცივრებიც კი უმოქმედოდ უყრიათ.

საერთოდ კოხტა, ლამაზი ქალაქია ტყვარჩელი... შემდეგ დანარჩენი!

**ვ. სიხარულიძე**

„ნიანგის“ სპეციალური კორესპონდენტი



# სამართლით განსაჯეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს იმტვრიეს თავი მართამ და სევასტიმ, დიდხანს ჩხრიკეს გონებაში ნათესავთა სახსენებელი, მაგრამ შესაფერი არ იქნა და ვერ იპოვეს.

— ლუკა! — მოულოდნელ გახსენებაზე სიხარულით შეჰკივლა მართამ,— როგორ გადამავიწყდა, ჩვენ თვალწინ არ გაიზარდა, კაცო?

— მაგისაგან ხეირი არ იქნება, საპროტექციო ხალხს სიახლოვეს არ იკარებს...

— იმე! — ეწყინა მართას, — არც ნათესაობა გაჰრის? მგონი ჩვენი ნათესავი უნდა იყოს... ერთ საღამოს დავკლათ ი ჩვენი წითელი მამალი და შევახსენოთ, შეკაცო!

— არ იზამს!

— არ იზამს და სიცხე შენს თავს! – გაკაპასდა მართა,— შე სასიკვდილე, ხომ გითხარი ოქროს მედალი ავალებიოთ ბავშვს-თქვა, ხომ აღარ დაგვჭირდებოდა ამდენი თავშიცემა.

— სილიბისტროს გოგომ თუ ეილო, რა გააკეთა, რავა მატარებელში უმედლოთ არ შეუშვებდნენ თუ! გამესაუბრენო, ლაპარაკი, იმან რომ იცის, ისეთი უნდა,—სავექილოზე გამოდგება; რა ესაუბრენ ამისთანა, რომ არ მოწონებიათ? აბა, ისინი ყოფილან მოლაპარაკენი!

ამ დროს თვითონ წუხილის და თავისმტვრევის ობიექტი სევასტისა და მართას ბიჭი დინჯად შემოვიდა ოთახში და ლაპარაკში ჩაერია.

— იცით რა უკითხავს ლექტორს? ისაო, სოფლის მეურნეობიდან ყველაზე სასარგებლო პირუტყვი დამისახელეო. მგელიო—უთქვამს, გაუცინიათ... რა ნანას ბრალი იყო, სილიბისტრო ბიძია ფერმის გამგე იყო, მაგრამ მაინც მგლების სიყვარულში ამოდიოდა სული. სულ იმას იძახოდა—ვენაცვალე მგელსო ჩემი ოჯახის წევრად უნდა ჩავრიცხოო. მედლის ასაღებად რომ ფერმის ვერძი დაკლეს, მისი შეჭმაც მგელს დააბრალეს ჰოდა, ნანამაც იფიქრა მგელი ყველაზე სასარგებლო პირუტყვიაო.

— ჰე, ახლა! რა ბავშვის ბრალია! მაგას თავი დავანებოთ და განცხადება დაწერე, გენაცვალოს დედა!—მოეხვია შვილს მართა და მაგიდასთან დასვა.

ხურჯინის თვალიდან თავამოყოფილი გრძელკისერა ბატი ისე ალმაცერად და გაკვირვებით შეაშტერდა, თითქოს ამბობდა:—„ვაი შენს ტყავს, თუ ამ სიცხეში შენი გულისთვის მაწუხებენო“... მაგიდაზე ფეხებგაფშეკილი გოჭი უდარდელად გულალმა შეყირავებულიყო, იქვე მახლობლად ბეზერი კისერდანაოჭებული თხის ტყავი ლოთი კაცივით მუცელგაბერილი მიყრდნობოდა მაგიდის ფეხს. სევასტი ამ ხორაგს შორის დააბიჯებდა და გულზე იყო გამსკდარი — კაცო, გინდოდეს ვინმეს პატივი სცე და შემჭმელი ვერავინ გამონახოო?!

—ცოტაა, ვაითუ დაგვიწუნონ!—წუწუნებდა მართა,— ნაცნობი რომ გვყავდეს მაშინ კიდევ სხვაა.

— ცოტაა და, შექალო, რა შავი დღისთვის ვინახავთ დანარჩენს?

გაიწია დედ-მამის გულმა ეზოსკენ... თავგამეტებით დადევნებულ მართასა და სევასტის დანახვაზე გაოცებული დედლები კრიახით გარბოდნენ, მაგრამ გაქცევამ გასაჭირს ვერ უშველა და საღამოს შინაური ცხოველებისა და ფრინველების მთელი ამალა სადგურისკენ დაიძრა—სევასტის ბიჭის გამოცდების ჩასაბარებლად.

ხურჯინზე დამჯდარი მიდიოდა თბილისისკენ იმედდაკარგული სევასტიც და ვაგონში აკრიახებულ ქათმებს აწყნარებდა.

თბილისს ფეხი დააკარა თუ არა, მიწა გახეთქა და საგამოცდო კომისიის წევრის ბინას მიაკვლია. დიდხანს უმტკიცებდნენ—არაო! მაგრამ სევასტიმ თავი მოიკლა და თავისი ხორაგი სხვის სახლში რიგზე დააბინავა.

მეორე დღეს გამოცდებზე ბიჭი გულდამშვიდებით გაამგზავრა, მაგრამ დახეთ უბედურებას! კარი გაიღო და... ნაცნობმა ქალმა ხურჯინი ბოდიშით შემოუტანა ოთახში. გახარებულმა ბატებმა გაოგნებულ სევასტის ერთი ამბით შეღაღანეს— ხომ დაგვაბრუნესო.

— ვაი თქვენს პატრონს!—შემოიკრა თავში ხელი სევასტიმ და უდანაშაულო ფრინველებს დაერია.

წახდა ამინდი, რაღა ეშველება ახლა საწყალ ბიჭს?

სევასტის ბიჭის სახელი და გვარი მართლაც საგანგებოდ ჩაეწერა იმ ლექტორს—ვნახოთ რა ცოდნისა არისო! ახლა ყოველმხრივ ესხმოდა თავს, თითქოს ჩაჭრა მოუნდომებიაო, მაგრამ სევასტის ბიჭი მშვიდად უპასუხებდა ყოველ კითხვაზე.

გადაიდარა. სიხარულით ჩამოფრინდა კიბეებზე სევასტის ბიჭი და კარებთან უმწეოდ ატუზულ მამას თვალებზე „ფრიადი“ ააფარა.

— არ ჩაიჭერი?.. არა?—ალტაცებით ამოხდა სევასტის და მერე ნაწყენმა დაუმატა:—ეხ! შენ კი არა, მე ჩავიჭერი, შვილო, ვინ დამიჯერებს ახლა სოფელში, ხომ მაინც იტყვიან სევასტიმ ბიჭი ქრთამით მოაწყოო!

**ბიჭი მარუაშვილი**

თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში რემონტი და ინვენტარის შეღებვა სწავლის დაწყების წინადღეს დაამთავრეს.

ნახ. ა. კანდელაკისა



პირველი ნიშანი

# ნოსირიდან ჩაქროლა

ჩვენი მატარებელი ერთ პლატფორმასთან გაჩერდა. ფანჯარასთან მივედი. შემხვედრი საბარგო მატარებელი ახალ-გამომწვარი აგურით იყო დატვირთული.

— რა სადგურია?

— ეს, ბატონო, ძიგური გახლავთ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოფელი ნოსირია. ძიგური მისი გარეუბანია.—ჩემი ცნობისმოყვარეობა სასწრაფოდ დააკმაყოფილა იქვე მდგომმა ხანში შესულმა კაცმა.

— კი მაგრამ, ის რა ქარხანაა?—ვისარგებლე შემთხვევით და ცადაწვდილ მილებისკენ გავიშვირე ხელი.

— ის, ბატონო ჩემო, ძიგურის აგურ-კრამიტის ქარხნის მილებია, ალბათ გაგეგონებათ. თითქმის მთელ საქართველოს ამარაგებს საშენი მასალით, აგურით.

ამ დროს აგურით დატვირთული მატარებელი მძიმედ დაიძრა და როცა ბოლო ვაგონმაც ჩაგვიარა, ჩვენს წინ, ლიანდაგის გადაღმა, ეგრეთ წოდებული ძიგურის „სადგური" გამოჩნდა. ეს გახლდათ ობლად მიტოვებული რკინიგზის ხის ვაგონი, რომლის ღია კარებიდან დოინჯშემოყრილი წითელ-ქუდიანი „სადგურის" მორიგე ისე რიხიანად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, სოხუმის ლამაზი სადგურის პატრონიაო.

— ესაა სადგური? ისიც ძიგურის ქარხნის, რომელიც მთელს საქართველოს ამარაგებს საშენი მასალით?! —განცვიფრებულმა მივმართე თანამოსაუბრეს.

— რას იზამთ, ბატონო, ხომ მოგეხსენებათ: ფეხსაცმელის მკერავი თვითონ ფეხშიშველი დადიოდაო. ახია მაგათზე, მე რომ მათი ვიყო, ერთ ცალ აგურს არავის გავატან, სანამ სადგურს არ ამიშენებენ, მაგრამ სადაა პატრონი!

ამ დროს მორიგემ, (თითქოს ეს საყვედური გაიგონაო) ღონივრად ჩამოჰკრა „სადგურის" კარებთან ჩამოკიდებულ ზარს და მატარებელიც დაიძრა.

სულ ორი კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, როცა ჩემი თანამოსაუბრე უცნაურად აწრიალდა. ჯერ, თვალებდახუჭულმა ლოცვისმაგვარი ჩიფჩიფი დაიწყო, შემდეგ საჩვენებელი თითები ერთმანეთის ირგვლივ სწრაფად დაატრიალა და როცა ერთმანეთს კარგა მანძილზე დააშორა, დამუხტულივით ფრთხილად დაიწყო მიახლოება.

შემდეგ კი, ჩემს თანამგზავრს გახელილი თვალები გაუფართოვდა, ერთი ლაზათიანად შეიკურთხა და განწირულივით ვაგონის სარკმელს ისე მივარდა, თითქოს გადახტომას აპირებსო. მეც ასეთივე მოძრაობა გავაკეთე სარკმელისკენ, თან მარჯვენა ხელი მხარში მაგრად ჩავავლე, რომ საჭიროების შემთხვევაში უბედურება თავიდან ამეცილებინა.

სარკმლის იქით შეშინებული ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებიც გიჟებივით იქნევდნენ ხელებს და რაღაცას საშინლად გაჰკიოდნენ. ზოგს ჩემოდნებიც აეწია თავზევით და აქეთ-იქით აქნევდნენ. ჩვენს წინ ბაქნის სილუეტმა ჩაიქროლა.

ჩემს თითებში ჩაბღუჯული მხარი ჩემი თანამგზავრისა, უცებ მოეშვა.

— ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! — ამოიოხრა მან და სარკმელს მოშორდა. — არ გაჩერდა, უნამუსო!

— განა აქ გაჩერებაა?

— დიახ. ეს სოფელ ნოსირის ბაქანი გახლავთ. ყველაზე დიდი სოფელია ამ რაიონში. საქართველოს ფარგლებში შემავალი მატარებლები ყველა ჩერდება, მაგრამ ამ გაგრა-თბილისის მატარებელს არ ეშველა არაფერი, როცა მოეხასიათებათ, მაშინ აჩერებენ მემანქანეები.

— თქვენ აქ უნდა ჩამოსულიყავით? — თანაგრძნობით შევეკითხე.

— არა, ჯანდაბას ჩემი თავი, ცოლ-შვილი მელოდებოდა ბაქანზე. გაგრაში ვგზავნიდი დასასვენებლად. სამტრედიაში გახლდით ბილეთისთვის. ცხაკაიაში ძნელია შოვნა. — მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო. — მემანქანეს ფულიც კი მივეცი ყოველ შემთხვევისათვის. მიღალატა უნამუსომ. ახლა ვიცი გრაფიკს დააბრალებს; მეჩქარებოდაო, იტყვის.

— მაშ რა უნდა ქნათ?

— რას ვიზამ, უკან უნდა დავბრუნდე ცხაკაიადან.

სიჩუმე ჩამოვარდა.

შორს წითელი შენობა დავინახე.

— ეს რა არის? — ვკითხე, რათა უხერხულობა ამეცილებინა.

ჩემმა თანამგზავრმა თავი მაღლა ასწია და სარკმელში გაიხედა:

— ეს, ბატონო, სოფლის კლუბი გახლავთ. — მითხრა მან და ეშმაკურად გაიღიმა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცის გაღიმებამ ჩემს სახეზე განცვიფრება გამოიწვია. ეს მან ადვილად შემატყო.

— არაფერია გასაკვირი. როცა ნოსირის კლუბს ვუყურებ, ახალგაზრდობა მაგონდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემი ბავშვობისას დაიწყეს და შარშანწინ ძლივს დაამთავრეს. მეორეც კი იმიტომ, რომ ახლა ისეთი სურათები გადის, რომლებიც ჩემი ახალგაზრდობის დროს მინახავს. ცხაკაიაში და თბილისში რომ არ მიხდებოდეს სიარული, ნოსირელებივით ჩამორჩენილი ვიქნებოდი. თუმცა არა, ამათ კლუბს კლუბი მაინც ჰქვიან. მეზობელ სოფლელებმა იკითხონ, რომ არც ესა აქვთ!

მატარებელმა მოტირალი ქალივით მიაკივლა.

— ბოდიში, ბატონო, მე ახლა უნდა ჩავიდე, ჩვენები მელოდებიან ნოსირში. — მითხრა მან, ხელი ჩამომართვა და დამნაშავესავით გაიძურწა კარებისაკენ.

**გ. ფირცხალავა**

## მრავალდაზგოსანთა საუბარი

ნახ. გ. ლომიძისა



— ხედავ ნიკოს, აქამდე ერთ დაზგასაც ვერ უვლიდა, ახლა კი თითქმის გვეჯიბრება, დამთვრალა და ერთი დაზგა ათად ეჩვენება, „მრავალდაზგოსანი" გამხდარა!..

# თვალ-მოკრული სურათები



### უპოვნელა

— ხომ არ გინახავთ მოწონელიძე?

— მოწონელიძეს ხომ არ გაუვლია აქეთ?

— მოწონელიძისთვის ხომ არსად მოგიკრავთ თვალი?

ასეთი კითხვები გაისმის ქუთაისის სადგურის ბაქანზე, მატარებლის ჩამოდგომის დროს. დარბიან, აჩქარებით დაეძებენ ვაგზლის უფროს მოწონელიძეს, აქეთ-იქით ეხეთქებიან და ვაგზლის უფროსის დაკეტილი კაბინეტის გარშემო ტრიალებენ.

გამწარებული მგზავრები დაეძებენ ვაგზლის უფროსს სწორედ მატარებლის ჩამოდგომის დროს: ზოგს ცნობა სჭირდება მისგან, ზოგს ბილეთის შეძენა აწუხებს, ზოგს სამსახურის საქმე ავალებს მის პოვნას.

მაგრამ ვინ დაგიკარგავს — ვის ეძებ? მოწონელიძეს ახირებული წესი შემოუღია: მატარებელი ჩამოდგება თუ არა, გაიხდის ვაგზლის უფროსის ფორმას და უბრალო ხალათში გამოწყობილი ხალხში დოინჯშემოყრილი შეერევა, რომ არ იპოვნონ და... სამსახურის საქმეზე არ შეაწუხონ.

— მაწუხებენ, ბატონო, დროს მართმევენ, მაგათთვის მცალიან? — „განმარტავს“ მოწონელიძე თავის ნოქმედებას. — ბილეთებისთვის მოლარეს მიმართეთ, მართალია ბილეთები არ არის, მაგრამ გადაუხადეთ „მალარიჩი“ და გაუჩენელს გაგიჩენთ. ჩემგან კი რა გინდათ?

და წავა თუ არა მატარებელი, მოწონელიძე გააღებს თავის კაბინეტს, გამოეწყობა ფორმაში და მაგიდაზე მოკეცილ მკლავებზე დასდებს თვლემით გაბრუებულ თავს. სთვლემს მოწონელიძე.

გაუგებარია რატომ ეძახიან მას უპოვნელას? მისი პოვნა ხომ ყოველთვის შეუძლიათ—მატარებლის მოსვლამდე ან მისი წასვლის შემდეგ.

მოდით და დაუჯერეთ ქუთაისელ მგზავრებს!

### ბუზს რას გაუგებ?



ქუთაისში „მწვანე ბაზარი“ განთქმულია პროდუქტებით. რას მოისურვებთ — იქ არ იყოს... უფრო ზაფხულობით, მაგრამ ყველაზე მეტი იქ მაინც ბუზია... ზაფხულობით, რა თქმა უნდა. მიხვალთ ხორცის რიგთან, შეხედავთ ხორცს — გადაშავებულია ბუზებით.

— როგორ შეიძლება ასე? ხორცს ბუზები ასხედს! როგორ ვიყიდო? — უსაყვედურებთ გამყიდველს.

— აირჩიეთ, ბატონო, რომელი ნაჭერიც გნებავთ, ბუზებს გავაფრთხობ და ისე მოგართმევთ.

თქვენ უფრო მეტად მოგდით გული:

— ეგ რა ხუმრობაა, კი არ უნდა გააფრთხოთ, ზომები უნდა მიიღოთ, რომ ხორცი არ გაბინძურდეს. ეგ ბლონდები ხომ გიკიდიათ?

— გვიკიდია, მაგრამ ბუზს რას გაუგებ, ბატონო: აქედან მიაფარებთ — იქიდან დაასხდებიან, ზევიდან გადაახურავთ — ქვევიდან აბინძურებენ, რას გაუგებთ?

მართალია გამყიდველი: ბუზს რას გაუგებთ, როცა „მწვანე ბაზრის“ დირექციას ვერ გავუგეთ, თუ რა მიზეზით არ იცავს ბაზარში ელემენტარულ სისუფთავეს და თვალყურს არ ადევნებს პროდუქტების გამყიდველთა მოქმედებას!

### უგვარო




ქუთაისის სავაჭროებში გამყიდველებს გვარები ჩამორთმეული ხომ არა აქვთ?

— რა ახირებული ხუმრობაა, გვარებს ვინ ჩამოართმევს?

— მაშ რატომ არის, რომ მშვენივრად გაფორმებულ მაღაზიებში გამოკრულ კოხტა ფირფიტებში აწერია მხოლოდ სიტყვანახევარი: „გამყიდველი ამხ...“ და გამყიდველის გვარი კი არსად სჩანს?

— სად ნახეთ ეგ?

— აი, აქაც, ფალიაშვილის ქუჩაზე № 31-ში მდებარე მაღაზიაში.

— ჰო, მაგისი მიზეზი სულ უბრალოა, ჩემო კარგო: გამყიდველები ისე მალ-მალე იცვლებიან, რომ მათი გვარების დაწერა დაუსრულებელ ხარჯს გამოიწვევდა.

— მაინც რა იწვევს ასეთ „ცვალებადობას“?

— აქ გადამყიდველებთან კავშირი, იქ სავაჭრო წესების დამახინჯება, ფასების დარღვევა, საქონლის გადამალვა...

— ა-ა! გასაგებია, აქაურ მაღაზიებში მართლაც უგვარო გამყიდველები ყოფილან.

**ი. ხოშტარია**

## სამკითხველოს კარებთან
### (ყოფილ მერის ბაზარზე)




**მკითხველს ქათამი და ინდაური**
**თვალწინ თუ ასე გადაელობა,**
**რაღა თქმა უნდა, წიგნს გვერდს აუვლის,—**
**მას მხოლოდ ფასის კითხვა ეყოფა!**

**დელი-ოდილაშვაძე**






თელავის რაიპროკურატურაში ზის გამომძიებელი მიხეილ მაისურაძე, წინ დიდი საანგარიშო უდევს. ჩააგდებს მიხეილი საანგარიშოში ერთ კოჭს და იტყვის: „ცხოვრება მხოლოდ ანგარიშია, ესეც მიემატოსო“.

კოჭის ჩაგდება კი რაიმე საქმეს ნიშნავს, სარფიანს, გამოსარჩენს, თორემ მიხეილს ტყუილად ხელის განძრევა არ უყვარს.

კოჭი ჩააგდო მიხეილმა და მისი სახლის ასაშენებლად დაიძრა სოფ. ართანის კოლმეურნეობისა და სახერხი ქარხნის საბარგო ავტომანქანები. მოვიდა და მოვიდა ქვა და ქვიშა, გაჯი და კირი, ხე-ტყე და აგური. სულ ცოტა ხანში ისეთი კოხტა სახლი წამოიჭიმა თელავში, რომ მაისურაძის მიერ ართანაში უკვე აშენებულ სახლს „წიპუკას“ უძახდა.

მეორე კოჭი ჩააგდო მაისურაძემ და ოთახში მოულოდნელად „მოსკვიჩის“ პატრონი შოფერი არზუმანოვი შემოვიდა. „შენსკენ მომეჩქარებოდა, ორი კასრულა ღვინო მომქონდა და რაკი მოედანზე წესრიგი დავარღვიე, მილიციელმა გოდერძიშვილმა დამაკავა. მანქანაც მასთან არის, ღვინოცო“. წამოვარდა მაისურაძე, გაჰყვა არზუმანოვს, მილიციელი დატუქსა, არზუმანოვს „მოსკვიჩში“ ჩაუჯდა და ღვინოს გზა უჩვენა...



მესამე კოჭი ჩააგდო მაისურაძემ და ოთახში კვლავ შოფერი არზუმანოვი შემოვიდა. „გემსახურები და უნდა მემსახუროო“. „ხელი ხელს ბანსო“, უპასუხა მაისურაძემ. „თუ ასეა, მამაჩემი ბუღდანა დააპატიმრეს მატყლით სპეკულაციის გამო და უნდა გაათავისუფლო, საქმე კი—მოსპოო“. „მოისპოსო“, დაიძახა მიხეილმა.

მიხა გამომძიებელმა მეოთხე კოჭი ჩააგდო საანგარიშოში და ახლა თვითონ მივიდა ბუღდან არზუმანოვის ოჯახში.

„ბიჭო, ბიჭო, ბუღდანაო“.

„რა გაგიჭირდა განაო?“

„რა გამიჭირდა და განა არ იცი სახერხი ქარხნის ბუხჰალტერი დათა რცხილაძე რომ პასუხისგებაშიაო? ჰოდა, ახლა სახერხ ქარხანას საბარგო ავტომანქანა ვამოვართვი და ტყეში შეშაზე მივდივარო. პატიმრობიდან გათავისუფლება თუ არ დაგვიწყებია, შენი შვილი ტყეში გამატანე, შეშა მომიჭრას, დამიწყოს და სახლი გამითბოსო“. „შენი ნება იყოსო“.



გამომძიებელმა მაისურაძემ საანგარიშოს მეხუთე კოჭს დაუღერა თითი, მაგრამ აუცდა და ამ დროს ოთახში ამნისტიით გათავისუფლებული ვ. ყურაშვილი შემოვიდა. „პასუხისგებაში რომ მიმეცი და ნივთიერი მტკიცებისათვის საწყაოები, ვედროები, სხვადასხვა ნივთები და მათ შორის საანგარიშო რომ წამართვი, უნდა დამიბრუნოო. აი, სწორედ ეს საანგარიშოო...“




საანგარიშოს მეექვსე კოჭსაც აცდა მაისურაძის დაღერებული თითი და პარტიის რაიკომში მ. კოლელიშვილის განცხადება შევიდა: „მაისურაძე უსინდისოდ იქცევა, სხვის ნივთებს ითვისებსო“... მაისურაძე კი გაბრაზდა „მიხას ულვაში გაპარსეთ, კოლელიშვილს თუ არ აკოდინოსო“.

ოთხი თითი მოუსვა მიხეილ მაისურაძემ საანგარიშოს მეშვიდე კოჭს და ოთახში სამრეწველო მაღაზიის გამგე ბაბულია ღვინიაშვილი შემოვიდა. „ჩვენება უნდა მომცე, რომ კოლელიშვილმა შენგან მატერია უფასოდ წაიღოო“. „ვერ მოგცემო“. „მაშ რაც იცი, ის დაწერეო“, „მე ვერ დავწერ, შენ დაწერეო“. დაწერა მაისურაძემ ჩვენება და ღვინიაშვილს ხელი მოაწერინა. ჩვენებაში თეთრი ადგილი რომ დატოვა, იქ ის ჩაწერა, რაც თვითონ უნდოდა და მეორე დღეს კოლელიშვილს საქმე შეუდგინა.



ჩააგდო მაისურაძემ... მაგრამ „ჩაგდება“ რა ყოფილა, ვიდრე მიხეილი საანგარიშოს გაცვეთდა, აიღეს და... ყვარელში გადაიყვანეს გამომძიებლად.

**გ. კორინთელი.**

## კბილის ჩამოვარდნა



— წუხელ სიბრძნის კბილი ჩამომვარდა...
— ვაი ჩემს თავს! სიზმარში თუ ცხადში?
— ცხადში, ნამდვილად...
— ო, თუ ნამდვილად, არა უშავს, სიზმარში კი დიდ უბედურებას მოასწავებს, ჩემო სიყვარულო...

## შავი კატა

— დადექ კარებთან, ფეხი არ მოიცვალო, სულიკო, ხომ ხედავ წინ შავმა კატამ გადაგირბინა, სამსახურში უთუოდ უსიამოვნება გიცდის ამ დილით!..



რედაქტორი კ ა რ ლ ო  კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 17, ხელმოწ. დასაბ. 18/IX-1954 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეკვ. № 2138 უე 15644 ტირ. 20.000

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მკითხავთან

— არც ბიძაჩემის ბარათმა გასჭრა, არც დეიდაჩემის გამასპინძლებამ... ჩამჭრეს!..

— აი, ეს ექვსიანი ღია გზაა, მაგრამ აგურის ხელმწიფეს და ჯვრის ქალს ცხრიანი დაეცა და რა გიყო, შვილო, ტუზი რომ ამოგსვლოდა, ტუზი უთუოდ გიშველიდა...